ძალაში დარჩა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 18.06.2024. 2024 წლის 18 ივნისს ვინიცის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა გასული წლის აგვისტოში მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქს, ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანს **მიესაჯა** ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით. ამის შესახებ **იუწყება** მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი გამოცემა Вінниця.info-ზე დაყრდნობით.

აბსურდული ბრალდებებით გამოტანილ იქნა განაჩენი უკრაინის სასამართლოს მიერ 75 წლის მძიმედ დაავადებული მღვდელთმთავრის, მართლმადიდებლურ სამყაროში საყოველთაოდ ცნობილი საეკლესიო კომპოზიტორის მიმართ. როგორც მანამდე **გავრცელდა** ინფორმაცია, პროკურორი მეუფე იონათანისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა. ადვოკატების თქმით, საქმეში არსებული მტკიცებულებები გაყალბებული აღმოჩნდა, ხოლო დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი იერარქის უდანაშაულობის იურიდიული და ფაქტობრივი მტკიცებულებები ბრალდების მხარემ უგულებელყო.

მიტროპოლიტმა იონათანმა დანაშაული არ აღიარა და გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა.

აპელაციის განხილვამდე მეუფე იონათანი შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. 2024 წლის 19 მარტს ცნობილი გახდა, რომ ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანს **ინსულტი დაემართა** და მკურნალობას გადიოდა.

სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტი 21 ივნისს გაჟღერდება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოცხადების მომენტიდან, ხოლო მისი გასაჩივრება საკასაციო სასამართლოში სამი თვის ვადაშია შესაძლებელი.

***

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ **განცხადება** გააკეთა უკრაინის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2023 წლის 7 აგვისტოს ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენთან დაკავშირებით. „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ სიძულვილით ნაკარნახევ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში ჩვენ ვხედავთ რელიგიური თავისუფლების აღმაშფოთებელი დარღვევის მორიგ აქტს, რწმენის გამო დევნის მაგალითს“, – განაცხად მისმა უწმინდესობამ და აღნიშნა, რომ იერარქის წინააღმდეგ „წაყენებული ბრალდება აბსოლუტურად უსუსურია, ხოლო ეგრეთ წოდებული მტკიცებულებები ფალსიფიცირებულია“.

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ არაერთხელ **მიმართა** რელიგიურ ლიდერებს, საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების, სამღვდელოების, სამონაზვნო დასისა და ერისკაცების დევნის უხეშ შემთხვევებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მორწმუნეებთან მიმართებით უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლების ქმედებებმა „რელიგიური დევნის ღია ხასიათი“ შეიძინა.

მისმა უწმინდესობამ **გაძლიერებული ლოცვის კურთხევა გასცა** უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრებისა და კლირიკოსებისთვის, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებიან, ასევე ყველა მორწმუნისთვის, ვინც იბრძვის საეკლესიო ერთობის შესანარჩუნებლად და, გამოდის რა მის დასაცავად, აღასრულებს აღმსარებლობის ღვაწლს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91889/